ნინო მდივანი

საქართველოს წითელი ჯვრის ასოციაციის ცხელი ხაზის ოპერატორი-ფსიქოლოგი

პანდემია ახალი დაწყებული იყო, როდესაც გავიგე, რომ საქართველოს წითელი ჯვარი ფსიქოლოგებს ეძებდა, რომლებიც ცხელი ხაზის ოპერატორებად იმუშავებდნენ.

პროფესიით ფსიქოლოგი ვარ და მაშინვე ვიგრძენი, რომ ეს უნიკალური შესაძლებლობა იყო ჩემს სფეროში თვითრეალიზებისთვისაც და ადამიანების დასახმარებლადაც.
და ეს გამოწვევა მივიღე.

გაგიგეთ მეტი ნინოს შესახებ

შალვა ომარაშვილი

წითელი ჯვრის მოხალისე

მოწოდება „დარჩი სახლში!“ ყველას ეხებოდა, მაგრამ ჩვენ არა

„ჩემთვის მთავარი სტიმული ისაა, რომ ადამიანებს საჭირო ინფორმაციის მიღებაში ვეხმარები.
წითელი ჯვრის მოხალისეობა შესაძლებლობაა, ბენეფიციარების მდგომარეობა შევამსუბუქო.
და ეს ყოველივე ენერგიით მავსებს“.

გაიგეთ მეტი შალვას შესახებ

ელენე წალდაძე

წითელი ჯვრის მოხალისე

ზოგადად, ყველაფერს პოზიტიურ ჭრილში ვუყურებ. მგონია, რომ მოხალისეობაში ეს თვისება ყველაზე მეტად მეხმარება.

თავიდანვე მობილიზებული შევხვდი პანდემიას. ემოციების, შიშისა და დეპრესიისთვის ადგილი არ დავტოვე. საკუთარი თავი დავარწმუნე, რომ საფრთხე არ მელოდა და მაქსიმალურად უნდა ჩავრთულიყავი მათ დასახმარებლად, რომლებიც ამას რეალურად საჭიროებდნენ.

გაიგეთ მეტი ელენეს შესახებ